№ 101 | 1877—1899 | № 101

კვირა, 16 მაისი, 1899 წ.

**ფასი გაზეთისა:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

# ივერია

კვირა, 16 მაისი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეფროსინა გიორგის ასული, მატრონა, მარიამ, ზაქარია, იოსებ, სიმონ და ალექსანდრე აბაშიძენი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი მეუღლისა, ხოლო დანარჩენნი მამისა თვისისა

**აზ. ხახულ ზურაბის ძის აბაშიძისას,**

რომლის ტირილი და დაკრძალვა დანიშნულია 16 ამა მაისს, დილით, კვირას, ს. სავანეში (შორაპნის მაზრა), სთხოვენ მობრძანდნენ იმ დღისათვის დაკრძალვაზედ დასასწრებლად. (1—63—1)

## სახალხო სეირნობა

### საქველმოქმედო მიზნითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“.

დანიშნულია მაისის 16 და 17-ს კვირას და ორშაბათს, მუშტაიდში.

## წლიური საერთო კრება

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა** დანიშნულია 29 მაისს, საღამოს 7-ს საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო დარბაზში, განსახილველად შემდეგის საგნებისა:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო ანგარიში საზოგადოების შესავალ-გასავლისა 1899 წლისათვის.

4, მოხსენება განსვენებულის ალ. როინაშვილის ნაანდერძევის შესახებ.

5, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6, არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სამის კანდიდატისა.

(6—1)

**გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის—„შუამავალის“** წარმომადგენელთა წლიური კრება **დანიშნულია ოცდა ხუთ მაისს**, სამშაბათს, პირველ საათზედ ქ. ოზურგეთში, ამხანაგობის სამმართველოში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, დამტკიცება 1898 წლის ამხანაგობის წლიურის ანგარიშისა.

2, არჩევა გამგეობის ორის წევრისა, მდივნისა და მოლარისა.

3, მიღება მთავრობის სანიმუშო წესდების თანახმად,—ახალის წესდებისა, უკეთუ მანამდე კამისია წარმოადგენს შემუშავებულს.

4, ნებართვის მიცემა ამხანაგობის მმართველისათვის საჭირო სესხის აღებად.

5, ხარჯთ-აღრიცხვა 1899 წლისა.

მმართველი ს. ქეიშვილი

(5—6.—1)

**გამგეობა ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა** ამით აცხადებს, რომ 18 მაისს საღამოს შვიდ საათზე, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების სადგომში **დანიშნულია საზოგადო კრება ამა ამხანაგობისა**, 9 მაისს წევრების დაუსწრებლობით არ შემდგარ კრების ნაცვლად. ეხლა კრება ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. კრებამ უნდა განიხილოს ის საგნები, რაც პირველ კრებისთვის იყო დანიშნული.

თავმჯდომარე გამგეობისა მ. ბადრიძე

(1—6.—1)

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. შროტსვეიხი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი 6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ.)

## მთავრობის განკარგულებანი.

ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი ქუთაისის სტუსაღო კომიტეტის დირექტორს პროვიზორს ლეკან კოკოჩაშვილს.

## შემოწირულობა

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

კონსტანტინე იოსების ძე ყავრიშვილმა—სა?ი ვაზა, იაპონიური ხელის ყუთი. ხილის თეფშები, საშე, ცხვირსახოცების შესანახი და ატლანაკერი წერილების ჩასაწყობი.

ოლგა ივანეს ასულმა მირზაშვილისამ—ხავერდზედ ნაკერი ფრთით წერილების ჩასაწყობი და პერანგის კოკოტკა მოქარგული.

ანნა გიორგის ასულმა ხახუტაშვილისამ—ორი ბავშვის წინ ასაფარებელი.

კნ. თამარა გრიგოლის ასულმა დადიანისამ—10 მ.

№№.—5 მან.

შ. ფრიდმანმა—ოქროს ბეჭედი მარგალიტებით, ძეწკვი საათისა და ნიკელის საათი.

ნუზაროვმა—30 სხვა-და-სხვა ნივთი.

ამირალოვმა—კრემის ფერი ჩიშუ.

ღ. როტინოვმა—ათი ნაჭერი სხვა-და-სხვა ჩითი.

ზერიძემ—სხვა-და სხვა წვრილმანი ნივთი.

სოფიო როსტომის ასულმა მესხიევისამ—სადარბაზო ბარათების ვაზა, ორი ვაზა ყვავილებისა, ერთი საფერფლე და სურათების ჩარჩო.

# ფელეტონი

***

შუა ქალაქში, გზის პირას
სდგას ნასახლარი ნგრეული,
ერთ დროს მდიდარი სასახლე,
ეხლა უდაბნოდ ქცეული.
ვერც ჰხვდება ამომავალის
მზის სხივი, მაცოცხლებელი.
მოწყენის ელფერი ადევს,
ყრუდაა მიტოვებული.
მაგრამ, როდესაც დაჰქროლავს
ქარი სასტიკი, ძლიერი,
იქ უსახლ-კარო გლახაკი
თავსა აფარებს, მშიერი.
ამ გაუზომელ სოფელში
მხოლოდ იქ ჰპოვებს ბინასა,
თავს ნაბდის ძველას მოიხვევს,
რომ ტკბილად მიიძინოსა.
ეგრედ, ჰე გულო, ბედ-კრულო,
ერთ დროს გამთბარო სხივითა,
ეხლა უდაბნოდ ქცეულო,
ბედის უკუღმა ბრუნვითა,
გარდაექეცი ბინადა
უსახლ-კარო და ბედ-კრულსა,
როცა სციოდეს,—გაათბე,
ნუ მიაკარებ მტვერ-ბუქსა!...

გ. ნ—ძე

### პროვინციელის ფიქრები.

„Учрежденія безъ добрыхъ людей тщетны; но и люди безъ добрыхъ учрежденій мало добраго произвести могутъ“.

Графъ Сперанскій

გაზაფხული აქაც ამოფრინდა და გაშალა მშვენიერი ფრთები, „ასეთი გაზაფხული არ გვინახავსო“, ამბობენ აქაური გლეხები, რადგან დაჰყურებენ ასე ადრე მუხლ-გაკეთებულ ყანებს... მეკი ამ დროისთვის საღიღინო ლექსიც-კი ვერ მიღიღინნია: „გაზაფხული, გაზაფხული, გულს იმედი ჩამესახა!“... რის იმედი? განა ეშველება გარს დამკვიდრებულ უბედურებას?!.. „თავს არ განებებს პონტოელ-პილატეს საკითხავი“: „რა არის ჭეშმარიტება“? ღმერთო, კი შეგცოდე და,—ამ ფუფუნების შვილის გადაწყვეტილებაც კი ზოგჯერ სანატრელად ხდება: „ვერ გაიგებ, შენი ჭკვის საქმე არ არისო“ და გადიბანა ხელი... ჰმ... ხელის გადაბანვა და ისიც ამ ვარამ გარემოებაში... სწორედ რომ ძნელია საბუთი და სარჩული უპოვოს ძაან გაკირგაებულ გრძნობამაც-კი... ვაი სულო ცოდვილო, მიძებნია, მიჩხრეკნია და უფრო მახლობელ საძრომელად „მარქსისტობას“ წავწყვეტილვარ... ამ თეორიით ყოველი მხვნელ-მთესველი, მეურნე, გლეხკაცობა უნდა გაძვრეს სილატაკის, გაჭირვების და დაქცევის ფაზაში, მერე მოიხარშოს ქარხნის ქვაბში და მხოლოდ მაშინ შეიქმნება ძალუმ გმირად—გარდანქმნად და სხვა... თეორია სწორია. ამას ჰმოწმობენ ენგელსი, ლასალი, კირხმანი და თვით დიადიმ. მარქსი, მაგრამ დიდი ეგოისტური დამდორება უნდა, რომ წმიდა ემბაზად კაცმა აღიაროს ქარხნის ქვაბი... სილოამის წყაროდ ცხოვართა საბანებლად, რომელსაც ჰქვიან ებრაელებრ ბიფეზდა და სხვ...

აი ჩემს მიდამოდ გამხდარა დავიწყებული, მაგრამ ძველად დიდებული ჩვენის ქვეყნის ფართო კუნჭული თრიალეთი, რომელიც დღეს სწორეთ კონგლომერატია სხვა-და-სხვა ეროვნებათა. მცირე ქართველობის გარე ამათ ნაოხრებს დღეს შეჰხიზვნიან: რუსი, ბერძენი, ნემეცი, სომეხი, თათარი, ოსი და დუხაბორები. მეტად პოხიერს შავს მიწასა და ძვირფასს იალაღს ყველა ესენი დაუყენებია მხვნელ-მთესველობის და მეურნეობის კვალზედ და ზოგი ისე შორს წასულა ამ საქმეში, რომ უნებურად ამბობ: რის ქარხნის ქვაბი, რის მარქსი! ასეთი მოქალაქებრივი ცხოვრება და ამ წრეზედ წინ მსვლელობა სრული თამასუქია მისი, რომ ამისი მიმდევარი ერი სოციალურს წადილს მიაღწევს და ადამიანურს ცხოვრებას ხელთ იგდებსო...

***

თრიალეთი არ გასცდენია ნატურალურ წარმოებას—ბაზარი აქ არაა. პური, ქერი, კარტოფილი და სხვა აქვე თუ იყიდება, სახლშივე ნაქსოვნი თავიდგან ფეხთამდე ჰმოსავს აქ ქართველსაც, ნემენცსაც, დუხაბორსაც, ბერძენსაც და თათარსაც. ცხვარს, მატყლს, ნაწველს, საქონელს ადგილობრივ მოსულ ჩარჩს თუ მიჰყიდიან, თორემ ფართო ბაზრისკენ აქაურ კისერ სამტვრევ გზებზედ ძლიერ გაჭირვებულიც არ გაუდგება. გზები აქ სულ არ არსებობს, კლასიკური ურემიცკი განდევნილია, მარტო ცხენს ანდობს აქაური მკვიდრი თავს ამ ჯოჯოხეთურ სარბიელზედ. ეს ასეა ყველა, მაგრამ შებრძანდით დუხაბორთა სოფლებში!.. სახლები კარ-მიდამონი თვალსა გტაცებთ, საქონელი შურით მტერს გაჰგუდავს, ხალხი ჯან-საღია (ეს მაინც თრიალეთისთვის ზეცას დაულოცნია. ასის წლის მოხუცებს აქ მრავლად შეხვდებით)... ერთის სიტყვით, გული გეთანადრება, როცა ჰგონებ, რომ ასეთი ხალხი ჰშორდება ამ არემარეს და მიდის ამერიკის კანადაში.

ასეთივე სანახავია გერმანელთა ახალ-შენები: თავიანთი ჩვეულებანი, ადათნი, სამართალი; „სუდი“, „პოლიცია“ იმათთვის საჭირო არაა; როდესაც თათარი, ბერძენი, რუსი, სომეხი ამ დაწესებულებით „სულდგმულობენ“, თრიალელი ქართველიც ამ როლში ეხლა შედის...

ეგ მატერიალური კეთილ-დღეობა—შენ ინტელექტუარი სთქვიო,—მეტყვის ზოგი. საქმე ისაა, ჩემო ბატონო, რომ ამ მხრიდგანაც სანუგეშოა აქ ცხოვრება. პატარა ნემენცთა ახალ-შენი—ეკატერინოგილფი, დასახლებული ისეთ გერმანელებით, რომელთა უმრავლესობამ დღესაც უბრალო წერა-კითხვა არ იცის, მაგრამ საზოგადო საქმეების მართვით, კეთილ ცხოვრებით გაკვირვებენ, ამ წელს, ჩემ თვალწინ, სრულებით ინტელექტუალურ მოთხოვნილების პასუხის გამცემი გახდა. იმათს არა ბევრის ხნის დაარსებულ სასოფლო სასწავლებელში (48 კომლია და მშვენიერ სასწავლებელს ინახავენ) წელს მასწავლებლად მუსიკის მცოდნე მასწავლებელი მოუვიდათ. სოფელმა გაჰგზავნა ოც-და-ხუთი თუმანი ფული, იყიდა ორკესტრის საკრავები და მასწავლებლის ხელმძღვანელობით კვირა-უქმე დღეებში მუ-

თინათინა ალექსანდრეს ასულმა ეგაძისამ—ნაკერი ბალიში და ორი ქისა.

კნ. ეკატერინე ივანეს ასულმა ვაჩნაძისამ—ცხვირსახოცის ჩასაწყობი.

კნ. ბარბარე დავითის ასულმა ვაჩნაძისამ—ნაკერი ბალიში, ერთი დუჟინი ცხვირსახოცი.

ნინო ნიკოლოზის ასულმა ზურაბიშვილისამ — ბოთლი და ჭიქები ლიკიორისათვის, და პატარა ბავშვის მოწყობილობა.

მარიამ მიხეილის ასულმა ქართველიშვილისამ—ორი კალათა ყვავილებით.

მაკრო ყავრიშვილისამ—ერთი ბრონის საკარაქე, ორი სურათების ჩარჩო, ორი ეტაჟერკა და ერთი ხელსაქმის ყუთი.

ვლადიმერ ივანეს ძე მაჭავარიანმა—ცხრა დუჟინი კარანდაში და რვა უბის წიგნი.

სოსიკო მერკვილაძემ:

იაპონიური ორი ლარნაკი (ვაზა), ორი ფარდა (პანო), ორი მარაო, ერთი ეკრანი, ერთი საფინჩხე, ერთი ყუთი, ერთი საყავე, ხუთი ჩიტი, 1 რგოლი ხელსახოცისა და ერთი პაწია კალათა.

შეგროვილი ელისაბედ ბაქრაძისაგან:

ილია ხარაზოვმა—ოთხი გორგალი ძაფი, თორმეტი ტყავის ქამარი, ფეხსაცმლის ღილები, ჩვიდმეტი წყვილი ადელხანოვის ჩუსტები სხვა-და-სხვა ზომისა.

გიორგი აბულაძემ—ყვავილების ვაზა, შანდალი და ლამპა.

ალექსანდრე გოზალოვმა—გიტარა.

ნადეჟდა ზაქარიას ასულმა პოლტარაცკისამ—16 ნაჭერი სხვა-და-სხვა ნივთი.

ქ-ნ ნინო ხელთუფლიშვილის მიერ შეკრებილი ნივთები ქალაქ ქუთაისში. შეუწირავთ:

ანასტასია დიმიტრის ასულს ბაქრაძეს—ბარომეტრი, ორი ჩარჩო და სათუთუნე.

ბარბარე იოსების ასულს ვოლსკისას—სარკე.

ანასტასია გრიგოლის ასულს კლდიაშვილს—ვერცხლის გულის ქინძისთავი.

მელანია ლუარსაბის ასულს გველესიანს — ოქრო-მკედით ნაკერი ტუფლები.

ანნა ლუარსაბის ასულს მეძმარიაშვილს—სალფეტკი სუფრის ჩასაწყობისათვის.

ელენე ბესარიონის ასულს მდივანს—მარკების ჩასაწყობი.

ეკატერინე იაკობის ასულს ნიკოლაძეს—2 შანდალი.

ანნა სიმონის ასულს პეტრიაშვილს—ორი სურათი.

დესპინე გიორგის ასულს ლოლობერიძეს—პაპიროზის ჩასაწყობი.

კნ. ვერა ნიკოლოზის ასულს ჩიჯავაძეს—ორი ვაზა და საფერფლე.

ელენე კონსტანტინეს ასულს ჯინოევისას—კარაქის ჩასადები ჭურჭელი.

ვერა ნიკოლოზის ასულს ჯორჯიკიას—ფოსტის ქაღალდები და კონვერტები.

დიმიტრი დავითის ძე ლორთქიფანიძეს—საპაპიროზე.

სილოვან თომას ძე ხუნდაძეს—ალბომი ლექსებისათვის.

ვასილ იოსების ძე ბეჟანიშვილს—ორი უბის წიგნი.

ანასტასია ბესარიონის ასულს ღულაძეს—ქალის საკვოიაჟი.

სამსონ ნიკოლოზის ძეს დათეშიძეს—ბეჭის სათალი დანა.

თომა აბრამის ძე მთავრიშვილს—პრეს-პაპიე.

ბენედიქტე ვასილის ძე მამფორიას—ვერცხლის კალმის ტარი.

პეტრე როსტომის ძე სურგულაძეს—კარაქის ჩასადები.

მიხეილ ომანის ძე ჩინჩალაძეს—2 ვაზა.

თავ. დავით გრიგოლის ძე წულუკიძეს—ოთხ ფერი კარანდაში.

დავით ბესარიონის ძე მდივანს—ფარანი და ბანბანიორკა.

ნინო ბესარიონის ასულს ხელთუფლიშვილს—საწერელი.

# ახალი ამბავი

*** დღესა და ხვალ, კვირასა და ორშაბათს, 16 და 17 მაისს, მუშტაიდის ბაღში გაიმართება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ შეძლებათა გასაძლიერებლად „ქართული ბაზარი“ სეირნობითურთ და სიურპრიზებით. როგორც დავრწმუნდით, ბაზრის გამმართველნი ცდილან ამ სეირნობის ყოვლად მშვენივრად და უნაკლულოდ მოწყობას. ბაღში „ბაზრობა“-სეირნობა დაიწყება შუადღიდგან. შიგ შესასვლელი ფასი ელირება უფროსებისათვის ერთი აბაზი, პატარებისათვის ორი შაური. ბაღში შუადღიდგან დაუკრავს ორი ხორო სამხედრო მუსიკისა და ზურნა. გამართული იქნება აგრეთვე ფონოგრაფი, კარუსელი და ბავშვებისათვის ყოველგვარი გართობა და თამაშობანი. ამ მხრივ მადლობის ღირსნი არიან „ბაზრის“ გამმართველნი, რომ არავითარი ცდა და მეცადინეობა არ დაუშურებიათ, რომ ბავშვებისათვის სასარგებლო გართობანი გაემართათ, ასე რომ ეს ბაზრობა ბავშვებისათვის დიდად მისაზიდავი და გულის გამხალისებელი იქნება. მაგალითებრ, მიზანში სასროლი გამართული საჩუქრებით იმათთვის, ვინც არ ააცდენს მიზანს; იდგმება ქართულად მორთული-მოლაპარაკე კუკი, ყველას შეუძლიან დაელაპარაკოს, თუ გამოიცნო აწ კუკის სახელი, კუკს შეიძენს, ხოლო თუ არ გამოიცნო, ორი შაური ბედის საცდელი უნდა გარდაიხადოს. უფროსებს მიიზიდავს ბედის ამხსნელი წერილები საჩუქრებით (თითო წერილი მანეთი ჰღირს) და ბედის კასრი, რომლის ნივთების ამოღება ხუთ-ხუთი შაური ჰღირს და რომლის ნივთთა შორის ზოგი ძვირფასია. რაც შეეხება თვით ბაზარს, იმ საერთო თანაგრძნობის წყალობით, რომლითაც ამ ბაზარს მოეკიდნენ, მაგალითებრ, ნივთები გამოგზავნეს ქუთაისისა, გორისა და განჯიდგანაც-კი, ამ ბაზრისათვის დიდძალი ნივთებია შეგროვილი, ძვირფასი და დიდის ხელოვნებით ნაკერი. ვუწყით, რა ყოვლად სასარგებლო და ქველ მოქმედების ღირს საქმისათვის იმართება ეს „ქართული ბაზარი“, სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ტფილისის საზოგადოება თავისს თანაგრძნობას აღმოუჩენს, მით უმეტესს, რომ თითონაც სასიამოვნოდ გაატარებს დროს.

*** დღეს, კვირას, 16 მაისს, ანჩისხატის ტაძარში მწირველი ბრძანდება ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, ეპისკოპოსი გორისა.

*** ამ დღეებში ტფილისის სათავად-აზნაურო სა-დგილ-მამულო ბანკის 200-ოდე დამფუძნებელმა წარუდგინა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია თავად-აზნაურთა შვილების სწავლა-განათლების უნუგეშო მდგომარეობა და შემდეგ ნათქვამია: 1) იმ ფულს, რომელიც უნდა დაგვიბრუნდეს ბანკიდგან, ერთიანად ვწირავთ თავად-აზნაურთა სასარგებლოდ იმ პირობით, რომ ამ ფულიდგან შესდგეს თანხა, რომლის სარგებლიდგან დახმარება უნდა მიეცეს შვილთა აღსაზრდელად იმ თავად-აზნაურთ, რომლებიც შეიტანენ თანხის შესადგენად ბანკიდგან გამოსატან თავიანთ ხვედრ ფულს ან იმ ფულს, რომელიც უნდა გადაეხადნათ მათ 1864—65 წლის თავად-აზნაურთა კრებების ან თავად-აზნაურთა მოსალოდნელ დადგენილების გამო; 2) ვიდრე გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრება რასმე დაადგენდეს სათავად-აზნაურო თანხის შედგენის შესახებ, მიეცეს ეს ფული სესხად სარგებლით „ტფილისის გუბერნიის ღარიბ-მოსწავლეთა დამხმარებელ თავად-აზნაურთა საზოგადოებას“ იმ პირობით, რომ ეს სარგებელი თანხას მიემატოს ან და მიეცეს შვილთა აღსაზრდელად იმ თავად-აზნაურთ, რომელთა ფულით შესდგება ეს თანხა; 3) თუ ორის წლის განმავლობაში თავად-აზნაურობამ არა დაადგინა რა სათავად-აზნაურო ბანკის თანხის შედგენის შესახებ, ეს ფული უნდა გადაეცეს ზემოხსენებულს საზოგადოებას იმ პირობით, ერთის მხრით, რომ ამ თანხის სარგებელი მოხმარდეს იმ თავად-აზნაურთა შვილების განათლებას, რომელთაც ეს ფული შეიტანეს, და მეორე მხრით, იმ პირობით, რომ თუ ეს საზოგადოება მოისპო, ან მოქმედება შესწყვიტა, ეს თანხა დაგვიბრუნდეს ჩვენ ანუ ჩვენს მემკვიდრეთ, ისევ განათლების დასახმარებლად; 4) თუ შედგენილ იქმნა სათავად-აზნაურო თანხა ზემო-აღნიშნულის აზრით, არჩეულ იქმნას კომისია, რომელსაც მიენდოს შეიმუშაოს ამ თანხის გამოყენების საუკეთესო წესი რაც შეიძლება მეტი სარგებლის მისაღებად, რათა შესაძლებელი შეიქმნეს ბევრის ყმაწვილის აღზრდა.

*** შაბათს, 22 მაისს, გაზ. „კავკასის“ რედაქტორს ბ. ვ. ლ. ველიჩკოს განზრახვა აქვს წაიკითხოს „ტფილისის კრუჟოკის“ საზაფხულო დარბაზში საჯარო ლექცია მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ. ლექციის საგანია: „პუშკინის თხზულებათა ბედ-იღბალი“.

*** დღეს, კვირას, 16 მაისს, ვერის იოანე ღვთის მეტყველის ეკკლესიის სამრევლო სკოლაში გამართული იქმნება პუშკინის დილა. დასაწყისი დილის 12 საათზედ.

*** 30 აპრილს ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიჰმართა რკინის გზის გამგეობას და სთხოვა, რომ იმ ადგილებში, სადაც ქუჩები ლიანდაგზედ გადადის, გადასასვლელები გამართოს. თხოვნაში ნათქვამია, რომ რკინის გზის გამგეობა ფიცრის კედელს აკეთებს ლიანდაგის ორსავე

სიკას გრიალი გააქვს თრიალეთის ამ პატარა სოფელში, უკრავენ გლეხკაცი ნემეცები, რომელნიც სადა დღეებში ჰხი-ავენ პატივსა და ჰბღუნავენ მიწაში...

მიჰხედეთ დუხაბორებს (ანგარიშში ნუ ჩააგდებთ იმათ მშვენიერ ურთიერთ შორის დამოკიდებულებას და საზოგადო საქმის წაყვანას), ჰკითხეთ მიზეზი გარდასახლებისა ჩრდილოეთ ამერიკაში და ამ კეთილ ცხოვრების თავ-დანებებისა. არც ერთი მათგანი კრინტს არ დასძრავს ამ ორიოდე წლებში მომხდარ ადმინისტრატიულ უწესოების შესახებ; სულ უკანასკნელი მათთაგანი, თითქო ნამდვილი ინტელიგენტიაო, ამერიკულ პოლიტიკურ თავისუფლებას განიშნებს... „ჯერ იქ არ მივსულვართ, რომ ჩვენთვის რკინის გზა გაჰყავთო, აქ-კი 50 წელში გზა-კვალს ვერ ვეღირსეთო. იქ ეხლავ სასწავლებლებისთვის, სამლოცველოებისთვის ჩვენთვის მოზომილ ადგილების გეგმაში საუკეთესო ალაგები არის მოხაზულიო. იქვე ახლო ქალაქები გალიფაქსი, ვინიპეკი სავსეა არამც თუ უბრალო სასწავლებლებით, არამედ უმაღლესი—უნივერსიტეტებით და სხვათი... იქ რაც მებადება, ვიცი რომ ჩემიაო“. არ მივსულვართ ჯერ, მაგრამ მთავრობის ნასწავლი კაცები საუკეთესო თესლს ეხლავ გვირჩევენ და გვიმზადებენო“... ბევრი ამ გვარ ლაპარაკს გადაჰრით ასე აბოლოვებს: „თავისუფალ ქვეყანაში სიკვდილი სჯობია უკულმართში ცხოვრებასაო“... სკოლების შესახებ ვუკითხენე: აქ მთავრობის სკოლას ახლოს არ იკარებდით და იქ-კი უნივერსიტეტის კენაც იწვდით ხელს?..- აქაური ამათვისვე დაგვითმია, ჩვენთვის არაა საჭიროვო, იძლევიან პასუხს... ასეთი დალაგებულია ხოლმე ამ გვარი ლაპარაკი, რომ ოცნებობ,—ამ წითელ ჯვრებ დაკერებულ კაზაკინკაში და უშველებელ კაზიროკიან ქუდში რომელიმე ტოლსტოვეცი ხომ არ იმალავს თავსაო?.. მაგრამ ამ გადაკარგულში ასი და ოცი ტოლსტოვეცი?!!

თრიალეთი საქართველოს „ზაპოროგთა სეჩს“ წარმოადგენს. როგორც რუსეთში ყველა ჩაგრული ბედისა და ბატონისა „სეჩში“ ჰპოულობდა თავ-შესაფარს, ისე საქართველოში ბატონ ყმობით ჩაგრულნი, თუ სხვაფრივ ცხოვრებაში მარცხ-მოსულნი და გულ-ნატკენნი თურმე აქაურ ნაოხრებს მოატანდნენ ხოლმე. მერე ისეთი მზა-მზარეული ნაოხრები, როგორც თრიალეთში, არსად მოიპოვებოდა. მთელი სოფლები გაციებულის სახლებით, ეკკლესიებით, გამართულ სახნავ-სათესებით დაჰხვედრიათ არამთუ საყალაღნოთ მოსულ ქართველთ, არამედ ამ 60-ოდე წლებში გადმოსახლებულ ბერძნებს, თათრებს, რუსებს, სომხებს და სხვ. *) მოსულ ქართველობას თან მოუტანია მთელ საქართველოდგან მშვენიერი სიმღერანი: ზნე-ჩვეულებანი, მამაცობა, მხნეობა და მალეც მხნელმთესველობის კვალზედ კეთილ-დღეობამდის ასულან—ეს კეთილდღეობა, მხნეობა, ჯანითა და ღონით სავსეობა დღესაც ნამეტანია აქაურ ქართველობაში, ვიდრე სხვაგან ჩვენში, მაგრამ მათ კეთილდღეობის დამამხობი მოსაზრებანი დღითი დღე კისერზედ დასწონებიათ და ამ ყალაღნად მოსულთათვის ქედი მიწამდე დაუხრევინებიათ. ჯერ მიწა-მამული ისე წაურთმევიათ, რომ სული შეუხუთნიათ. უპატრონო ნაოხრები ვარანცოვის დროს მუქთად ეძლეოდათ თავად-აზნაურთ, რომელთაც ვინ იცის სადაურს არ გაუბოძეს ეს მუქთად ნაშოვარი, მხოლოდ ქართველობა შეავიწროვეს, სული შეჰხუთეს... მთელ თრიალეთის ქართველობაში ოციოდ წერა-კითხვის მცოდნეს ძლივს იპოვით, დღითი-დღე ათასი სულთა მხუთავი კრიმანჭული ამხობს ამათს კეთილდღეობას—ჯერ ტყის ადგილობრივ მოუხერხებელმა წესებმა ლამის მიწასთან გაასწორონ... როცა ამეებს ვუმზერ, ქართლ კახეთის და თითქმის მთელის ჩვენის ქვეყნის სოფლის მეურნეთა და გლეხთა ვარამს ვითვალისწინებ, „მარქსიზმისკენ“ მიხედვაც-კი გულს მიხეთქს.. თუმცა დასკვნა ამ თეორიისა იქმნება ერთად-ერთი უტყუარი თქმა იყოს აწინდელ მეცნიერებისა და ოდესმე საალებ-მიცემო ნიშნად შეიქმნას მარტო შრომა, მერე შრომა სასარგებლო... ინგლისი და გერმანეთი, ეს ორი ინდუსტრიალური ქვეყანა, როგორც მთელის ქვეყნის წურპელანი შედგნენ კაპიტალისტურ გზაზედ და საშინელი ვარამი მარქსიზმის მისაღწევ საშუალებისა დაწყებულია იქ, მაგრამ განა შვეიცარიელი თავისის გონიერ მოსაკუთრებითა და ალმენებით, ბელგია, იტალია, საფრანგეთი ᲓᲐ ეს სოიცარი სივკასა და ვანკაზედ დამყარებული ბუმბერაზი რუსეთი შედგებიან ამა გზაზედ?... არა ტუგან-ბრანოვსკები, ბელტევები, სტრუვე და მათ მიმდევარნი, ამ მეოცე საუკუნის დასაწყისში მოყიყინენი, გულს ვერ გაათბობენ, ჭკუას ვერ დააჯერებენ... აი ჩვენზედ მახლობელ ფინლიანდიის შესახებ რასა სწერს და ამბობს კარგი მცოდნე და მკვლევარი ამ ქვეყნისა ბ-ნი ფრისოვი.

ფინლიანდია 40 წელია დამდგარა დღევანდელ წარმატების კვალზედ და გადაქცეულა საუცხოვო ქვეყნად. ვიდრე ამ ბუნებით მწირს ქვეყანაში ხალხი შიმშილით სწყდებოდა, ურემი და რაიმე შესაბამი უგზოობის გამო არ იცოდნენ ფინებმა, მეურნეობა დაცემული იყო, ხალხი მიწასთან გასწორებული. მაგრამ სეიმის წყალობით ეს ქვეყანა ჩნდება პატრონი თვით-მმართველობის: 70% ამ ქვეყნის მცხოვრებთა გლეხ-კაცთა ხვედრა თავიანთის ქვეყნისავე საქმეთა მწარმოებლად. პირველ სეიმზევე

*) მოოხრებულა ეს მშვენიერი კუნჭული ბოლო ხანებში თარეშობის დროს, თუმცა შავი დღე წინადაც ბევრი დასდგომია. დაღესტნიდგან წამოსული თარეში არხეინად გამოივლიდა უდაბურ შირაქს, ელდარს, ივრის ხეობის მიყრუებულ მინდვრებს, ყარაიას, იაღლუჯას შეუვლიდა, მერე ნაოხარ სომხეთზედ და იქიდგან დაბურულ ტყეებზედ ესრეთ წოდებულ „სალეკო გზით“ შემოიჭრდა თრიალეთში, ააოხრებდა იქაურობას და იქვე მყოფ მიჯნას ოსმალისას რაკი გავიდოდა, ოსმალ-ახალციხელებს უერდებოდა და იკლებდნენ ქვეყანას... ნაოხრებში მრავალი მინას ქვეშ ნაკეთი ეკკლესია, სამლოცველო, ხვრელები გვიმტკიცებს, რომ ტანჯვით სთმობდა მკვიდრი ამ მშვენიერ მხარეს. სოფელი დიდი-გომარეთი სავსეა კატაკომბების მსგავსს მიწას ქვეშ ნაშენ საყდრებითა და ხვრელებით, ასევეა ყოველი ნაოხარი თრიალეთზედ...

ავტ.

მხარეს და გადასასვლელებს-კი არა ჰმართავსო, როგორც, მაგალითად, ნორიოს ქუჩაზედ. გუშინ, 15 მაისს, ქალაქის გამგეობამ პასუხი მიიღო რკინის გზის გამგეობისაგან. ამ პასუხში ნათქვამია, რომ სადგურ ნავთლუხიდგან ტფილისამდე 10 ადგილას არის გამართული ლიანდაგზედ გადასასვლელი და ლიანდაგის ქვეშ გასასვლელი გზა და ამაზედ მეტს რკინის გზის გამგეობა ვერ გამართავსო. ამასთან გამგეობა სთხოვს ქალაქის თვით-მმართველობას, მაინც გვაცნობეთ, რა ადგილებშია სასურველი ახალის გადასასვლელის გზების გამართვაო.

*** გუშინ, 15 მაისს, პოლკოვნიკს ნ. ს. ენიკოლოფოვს მცხეთის ტაძრის განსაახლებლად შეუწირავს 25 მანეთი.

*** გუშინ წინ, 14 მაისს, ხელმწიფე-იმპერატორის გვირგვინის კურთხევის დღეს, მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრი მ. ს. შესტაკოვი დამტკიცებულ იქმნა ტფილისის ქალაქის მოადგილეს თანამდებობაში.

*** დღეს, 16 მაისს, შუადღის 12 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება ქ. ტფილისის ხარჯზედ დაარსებულ სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა საერთო კრება. კრებამ წლიური ანგარიში და სარევიზიო კომისიის ანგარიში უნდა განიხილოს და დაამტკიცოს და თანამდებობის კაცნი ამოირჩიოს.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ მიეცეს სესხი ჭიათურის რკინის გზაზედ ვაგონების მოსამატებლად. ამასთან უფროსი თხოულობს მეორე კლასის ვაგონების გაკეთებას ამ გზისათვის, რადგან დღემდე მგზავრებისათვის მხოლოდ მესამე კლასის ვაგონებს ჰხმარობენ ამ გზაზედ. ვაგონების მომატება საჭიროდ დაუნახავს უფროსს იმის გამო, რომ ჭიათურიდგან და ყვირილიდგან შავი ქვის გაზიდვა წლითი-წლობით მატულობს. მაგალ., 1895 წ. გაუზიდნიათ—10,393,537 ფუთი ქვა, 1896 წ.—10,901,879 ფუთი, 1897 წ.—11,865,340 ფუთი და 1898 წ. 17,204,862 ფუთი. შავი ქვის გასაზიდ გარდასახადის შემცირების შემდეგ შავის ქვის გაზიდვას კიდევ უფრო უმატნია, ასე რომ ვაგონები სრულიად აღარ ჰყოფნით. ამ წლის 1 იანვრიდგან 1 მაისამდე გაუზიდნიათ ჭიათურის გზით 6 მილიონამდე ქვა.

*** 1898 წ. ქალაქის სასაკლაოზედ დაუხოცნიათ სულ 221,926 სული საქონელი, აქედგან წვრილფეხი საქონელი ყოფილა 163,428 და სხვილ-ფეხი—58,498, სახელდობრ: ძროხა 29,489, ხარი 23,229 და კამეჩი 5,408. ღორი დაუკლავთ 298; აქედგან ტრიხინიანი ყოფილა 76, ძლიერ დასნეულებული—$648^1/_2$ და ნაკლებად დასნეულებული—$866^1/_2$.

*** სანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს ბ-ნ სტეფანოვსა და მკურნალს ბ-ნს კატანიანცს უსიამოვნება მოუვიდათ ურთიერთს შორის, რადგან სტეფანოვი უკადრისად მოექცა კატანიანცს და ბ-ნმა კატანიანცმა კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას სთხოვა გასამართლება.

*** „სავაჭრო-სამრეწველო გაზეთი“ იუწყება, რომ ამ მოკლე ხანში დაიწყებს მოქმედებას ჭიათურა-დარკვეთის რკინის გზა. საქონლის გარდასაზიდად ისეთივე გარდასახადი დაწესდება, როგორიც ჭიათურა-შორაპნის გზაზედ არსებობს.

*** როგორც ისმის, ტფილისში ზოგიერთებს განზრახვა აქვთ დააარსონ ამხანაგობა, რომელსაც აზრად ექნება უშოვოს მსურველთ საიმედო მოსამსახურენი (მზარეული, ლაქია, მოსამსახურე ქალი, ძიძა, მეეტლე, ეზოს მცველი და სხ.).

*** „ტფ. ფურც.“-ს პეტერბურგიდგან ატყობინებენ, რომ გზათა სამინისტრომ მოიწონა კავკასიის გზათა უწყების ოლქის დადგენილება კავკასიაში არსებულ საბაჟოთა გაუქმების შესახებ და წინადადება მისცა ფინანსთა სამინისტროს იმის შესახებ, რომ დაწესებულ იქმნას განსაკუთრებული გარდასახადი მეეტლეთა და მეურმეთათვის.

*** „კავკ.“-ში ვკითხულობთ, რომ გრაკალის ხიდს მტკვარზედ გადაკეთება ესაჭიროება, ისე რომ ეტლებისა და ქვეითისათვისაც შეიძლებოდეს გავლა, როგორც ეს ავჭალასა და მცხეთას შუა მყოფ ხიდზედ არის. მტკვრის ორივე ნაპირი მჭიდროდ არის დასახლებული, ხოლო მიმოსვლის საჭიროება იმდენად დიდია, რომ მცხოვრებლებს ხშირად შიში და განსაცდელი მოელის.

*** ახალი ბუხარა. ამ ათიოდე წლის განმავლობაში მრავალი ქართველობა გადმოსახლდა ახალ ბუხარაში და მკვიდრადაც მოიკიდა ფეხი. სასტუმროები და რკინის გზის ბუფეტები სულ ქართველების ხელშია. მრავა-ლი ნოქარი და სხვა მოხამსახურენი—ქართველია. ყველაზედ უფრო საყურადღებო ის არის, რომ აქაურმა ქართველებმა დიდი ფეხი გამოიჩინეს ვაჭრობა-აღებ-მიცემობაში. ადგილობრივ ვაჭრებში პირველი ადგილი უჭირავთ სიმდიდრით ძმათა ბახტაძეთ. ამათ აქ სხვა და სხვა ქალაქში ააგეს ხუთმეტი მშვენიერი ქვითკირის დუქანი, რომელიც 69 ათას მანეთად დასჯდომიათ. ძმ. ბახტაძენი, სხვათა შორის, ღვინოთიც ვაჭრობენ, რომელსაც თვითონვე ამზადებენ აქ ყოველ წლივ 25 ათას ვედრიდგან—30 ათას ვედრამდე. აგერ ოთხი წელიწადია, რაც აქედგან ძმანი ბახტაძენი ღვინოს მრავლად ჰგზავნიან ბაქოში, სადაც მათ საკუთარი ღვინის საწყობი აქვთ. აქაურ ქართველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იმათ დიდი მეგობრობა აქვთ ერთმანერთ შორის.

*** პარასკევს, 14 მაისს, სასახლის ქუჩაზედ ეტლი დაეჯახა სომხის ეკკლესიის მღვდელს სიმონ ჩიმიშკიანცს და წააქცია. დაშავებული მღვდელი ქალაქის საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** სოხუმიდგან „ახ. მიმ.“ სწერენ, რომ ნაალდგომევს ფოთიდგან განუწყვეტლივ მიდიან იქ მეგრელი და ლეჩხუმელი მუშები. მათი უმრავლესობა სენაკის მაზრის მცხოვრებნი არიან თურმე. მათ სოხუმისაკენ მიერეკება სამუშაოს უქონლობა და ადგილ-მამულის სივიწროვე; სოხუმში ისინი დღიურად მუშაობენ კერძო მამულებში ან ტყის მწარმოებელს მაქსიმოვთან მდ. კოდორზედ. ამ ბოლო დროს სოხუმში მისულა 600 მუშა. ამდენი მუშა, დასძენს კორესპონდენტი, არასოდეს არ შემოსულა სოხუმსაო.

*** თელავის მაზრის სოფ. კონდოლში ადგილობრივმა გლეხმა თევდორე გერიშვილმა მტრობით ვაზები გაუჩეხა მღვდელს იოანე ნარეკლიშვილს. ზარალი 3000 მან. უდრის თურმე.

*** ორშაბათს, 17 მაისს, ქალაქის საბჭოში, სხვათა შორის, დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები: ქ. ტფილისის 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, გამსესხებელ კასების სარევიზიო კომისიის ორი წევრის არჩევნები, ქალაქის გამგეობის მოხსენება ბუჭყიაშვილის სახლის ყიდვის შესახებ და სხვ.

## ქუთაისის ქალაქის საბჭო

**10 მაისი.**

კრება დაიწყო საღამოს რვა საათზედ ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით. წაკითხულ იქმნა წინანდელი კრების ოქმი, რომელიც ერთხმივ დაამტკიცეს. პირველი საგანი, რომელიც საბჭოს უნდა განეხილა, მილებით წყლის გამომყვანის საქმე იყო, მაგრამ ქალაქის მოურავმა სთხოვა საბჭოს, ამ საგნის განხილვა გადიდოს განსაკუთრებულ კრებისათვისო, რადგან ამ საგნის გადაწყვეტა ადვილი არ არის და საჭიროა კარგად შევისწავლოთო. საბჭომ ეს წინადადება შეიწყნარა. მეორე განსახილველი საგანი იყო ქალაქის ქუჩების საფუძვლიანად შეკეთება და მოვლა-პატრონობა. დღევანდლამდის ქუჩების შეკეთება შეადგენდა მცხოვრებთა ვალდებულებას, ხოლო ქალაქის გამგეობა უვლიდა ამ შეკეთებულ ქუჩებს და წვრილმანის შეკეთებასაც კისრულობდა. ეხლა, როგორც ეტყობა, ქალაქის გამგეობას ეს წვრილმანის შეკეთებაც უძნელდება და სურს ეს მცირედი ვალდებულებაც მცხოვრებთ დააკისროს. ამ საგანმა საბჭოში ცხარე კამათი გამოიწვია. ზოგი ხმოსანი გამგეობის აზრს ემხრობოდა, ზოგი წინააღმდეგი იყო. ერთმა ხმოსანთაგანმა, სხვათა შორის, ის აზრიც წარმოსთქვა, რომ ქალაქის თვით-მმართველობა მეტს ყურადღებას აქცევს ქალაქის შუა-გულ ქუჩებს, ხოლო სრულიად უყურადღებოდ სტოვებს განაპირა ქუჩებსო. ასეთი საქციელი, უსამართლოდ მიმაჩნია, რადგან ქალაქის განაპირლებიც ისეთს ხარჯს იხდიან ქალაქის საზოგადო საჭიროებისათვის, როგორსაც ქალაქის შუაგულ მცხოვრებნიო, ქალაქის თვით-მმართველობა უნდა ცდილობდეს, თანაბრად დააკმაყოფილოს ქალაქის ყველა მცხოვრებთა საჭიროებანი. მაგრამ სხვები წინააღმდეგნი იყვნენ ამისა და ამტკიცებდნენ, რომ ყოველ ქალაქში შუაგული ქუჩები უკეთ არის მოწყობილი, ვიდრე განაპირა ქუჩები და ნუ თუ ჩვენი ქალაქი ამ მხრით უნდა განსხვავდებოდეს მათგანო. კარგა ხნის კამათის შემდეგ საბჭომ გადაწყვიტა,—დარჩეს ისევ ძველი, არსებული წესი ქუჩების შეკეთებისაო. შემდეგ ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს ის, თუ როგორ ფიქრობს ქალაქი იდღესასწაულოს რუსეთის სახელოვანის პოეტის ა. ს. პუშკინის ასის წლის დაბადების დღეაი პროგრამა დღესასწაულისა: 26 მაისს საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი პუშკინის სულის მოსახსენებლად. ქალაქის სკოლის მოსწავლეებს დაურიგდებათ წი-

---

დიადი ღვაწლი დასდო გლეხთა წარმომადგენლობამ მეურნეობის პრაქტიკულ მიმართულობას, მერე ამათვე სეიმზედ მეტად ძალუმად დაუჭირეს მხარი ხალხის განათლების საქმეს. ამიტომ მეურნეობამ იქამდის აიწია, რომ მიწის შემოსავალმა ერთი ათად იმატა, მიწის ფასი გადიდდა შეპატიებისა და რიგიანის მოვლის გამო. წინად 338 კილოგრამი ერბო ძლივს გადიოდა აქედგან, ეხლა იყიდება 15 მილიონისა. გლეხი და მემამულე მეტად წინ წავიდა კეთილდღეობის მხრივ: სისუფთავე, რიგიანი ჩაცმა-დახურვა და ადამიანური სმა-ჭამა ყველასათვის დაჭეშმარიტებული ამბავია დღეს. აქაურ მეურნეს დღეს შემოსავლიდგან ყოველთვის იმდენი რჩება, რომ შეუძლიან შეიძინოს საუკეთესო იარაღი და ყოველი მისახდენი სამკაული მეურნეობის წინ წაყვანისა. ხალხის განათლების საქმეში დღეს დედა-აზრად დაიდო: უბრალო წერა-კითხვა ჯერ კიდევ არაა განათლებაო, არამედ ხალხი უნდა ამაღლდეს ზნეობრივ და გონებრივ, ამიტომ საზოგადო აზროვნება აქ დღეს ისე მაღლა სდგას, რომ დამნაშავე პასტორი, სენატორი, მექარხნე და მოხელე მყისვე თავს ანებებს ფინლიანდიას, რადგან იქ აღარ დაედგომება და აღარ ეცხოვრებაო.

თურმე ერობის შემოღებაც-კი სასწაულებს სჩადის ხალხის ეკონომიურ და ზნეობრივ წარმატებაში, ნუ ვიტყვით ფინლიანდისებურ თავისუფლების შესახებ. ამის მაგალითად უსტი-სოლსკის ერობაა თურმე, რომელიც გადაკარგულია სადღაც ჩრდილოეთ რუსეთში. ერობამდის ეს ნამდვილი ველურთა მხარე იყო, რომელშიაც გზა-კვალი არ არსებობდა, ეხლა 1,500 ვერსტზედ მშვენიერი გზა-ტკეცილი გაუმართავთ და ერობის ფოსტა ყოველ ცოტა რითმე შესანიშნავ სოფელს თურმე სწვდება. სკოლებში სწავლობენ ნახევარზედ მეტი იმ ბავშვებისა, რომელნიც არიან სასკოლე წლოვანობისა. ერობის მკურნალობას მეტი პატივისცემა მიეცა მცხოვრებთა შორის. ნუ დაივიწყებთო, ამობს ამეების მაუწყებელი, რომ ამ ერობაში ძალიან მცირენი არიან წარმომადგენელნი მებატონეთა, უფრო გლეხობის წარმომადგენელნი არიან მმართველად და მათ-შორის მცირეოდენი მეტყევენი (лѣсничіе), რომელნიც თავიანთის განათლებით ბევრს აგონებენ გლეხებსაო... მოდი და ამის შემდეგ ნუ მიუთითებ მკითხველს ამ ჩემ სტატიის თავში მოყვანილ სიტყვებისაკენ და მწარედ ნუ იკითხავ: კეთდება რამ ჩვენში ხალხის სასარგებლოდ?!!...

აქ წერტილი უნდა დამესვა, მაგრამ მიყრუებულ პროვინციაში კალამი ატოკდა: ვეღარ მომითმენია ჩემდამი ახლად მოღწეულ ბ-ნ მაიაშვილისა და ჟორდანიას შორის ატეხილ ლიტერატურულ კამათის გამო ორიოდე მოსაზრება არ გადავცე ქაღალდს, მით უმეტესად, რომ „მარქსიზმს“ ამ წერილის დასაწყისშივე შევეხე.

თუ რამ ხდებოდა ₰ ხდება ჩვენში, ეს რუსეთის ინტელიგენციის წაბაძვით. მესამოცე წლებში რუსეთის ინტელიგენცია შეიპყრო ქვეყნის აზრთა აღფრთოვანებამ, პიროვნების ამაღლებამ, ავტორიტეტთა დამხობამ, ძმობისა, ერთობისა და სიყვარულის იდეალებმა. ჩვენც ამ ფართო გზამ ძალუმი მოღვაწენი მოქცა, რომელთაგანნიც დღესაც ბევრნი ცოცხალ ბრძანდებიან და ნაყოფი მათი, როგორც რუსეთშიაც, დღეს დიდ-ხვავიანად ითვლება. მე 70 წლები მთლად დაიხატა რუსეთში ხალხისგლეხკაცობის მოტრფიალე წრეში. ეს ლოღიკური შედეგი იყო ბატონ-ყმობის მოსპობისა და პიროვნობის ღირსების დამყარებისა. რუსეთში ფართო და ნაყოფიერი მიმართულებაც მიიღო: ინტელიგენცია დაერია ხალხს მათის შესწავლისა, სწავლისა, შველისათვის; ლიტერატურა შაქარს აყრიდა ხალხს, თუმცა იგი შაქარი არ უდგებოდა. იგი გლეხკაცობაში, ხალხში ჰხედავდა ძალას შემნახველს მაღალ იდეალებისას, ძმობისას. ამ მიმართულობამ ჩვენშიაც იჩინა თავი: ბევრმა ინტელიგენტმა გასწია სოფლისკენ მასწავლებლად, მკურნალად, ხალხის შესასწავლად... ლიტერატურაშიაც, „იმედისტებმა“ ამ საქმეს ჩაჰსჭიდეს ხელი, მაგრამ, რადგან ჯერ მცირედ გვყავნდა ინტელიგენცია და მერე შთამომავლობითაც იგინი ბატონთაგანნი იყვნენ, ამიტომ ამ მიმართულებისთვის თავი მცირემ გაიცია და იმათაც აკაკიმ „დიაკვნის შვილები“ უწოდა... მე-80 წლებს რუსეთში რეაქცია დამყარდა ხალხის მიერ „მოტყუებულ“ ინტელიგენტთა შორის... გლეხკაცობის ფლიდობა, ორპირობა, თვითმოყვარეობა შესწამეს და იდეალ გაცრუებულმა მოწინავე საზოგადოებამ მიჰყო ხელი პესიმიზმს, დეკადენტობას, გზა-დაბნეულობას. მოგეცა ღვთის წყალობა, რომ ჩვენშიაც ასეთი გზა-დაბნეულობა მოდად გახდა და არის დღესაც ინტელიგენტთა შორის... გლეხკაცობის ინტერესების ზიზღით ხსენება, „ფშიუტური“ ზედა წრისკენ მიტმასნება, კარიერისტობისა ბაღანურად გაღმერთება დიახ რომ დღესაც ხელს აძლევს ჩვენს უნიადაგო ინტელიგენციას... ეროვნულ ნიადაგის ჩხრეკვა, მისი გაცნობა რუსეთში მეტად რიგიანად შესრულდა ხალხურ მიმართულების წყალობით—ამ საქმეს დღესაც ბევრი ადგია რუსეთში, მხოლოდ წინანდელ შეცდომათ შესწორებით,—ჩვენში-კი ამ ძალუმ საქმეს მხარში არავინ ჰყოლია და დიდი ნაკლიც ჩვენი აქაა. ჯერ ეს ნაკლი არ შევსილა და აი, რუსეთში ახლად დაბადებულ მიმართულებას, ესრედ წოდებულ „მარქსისტობას“ ჩვენშიაც გაჰყვნენ ბაკი-ბუკით. „Новое обозр.“ № 5232-ში ბ-ნი ჟორდანია უკიჟინებს მ. მაიაშვილს: „შენ ტყუილად იქადი, რომ „მარქსისტი ვაროო“—მე, ნამდვილს მარქსისტს, იცოდე, შენთან საერთო არა მაქვს-რაო“.

ჰე, ბატონებო! ვარამი ჩვენის ხალხის ცხოვრებაში დიდია, იგი ბევრ რასმესა ჰფარავს ჩვენგან, მაგრამ გამოკვლევა და შეგნება ყველა ამისა ჩვენი მოვალეობაა, გამხნევება დაცემულის ერისა ახლოა ჩვენზედ, ვიდრე მარქსიზმის ქარხნის ქვაბი.. ღმერთი, რჯული,—ეს ასეა!...

მღვ. ზ. გულისაშვილი

გნაკები პუშკინის შესახებ; ნაშუადღევს გაიმართება პულვარში სახალხო სეირნობა და ნემენცების ქუჩას დაერქმევა პუშკინის ქუჩა. ამ პროგრამას ხმ. კ. ლორთქიფანიძემ დაურთო კიდევ შემდეგი: ბულვარში დაიდგას პუშკინის ბიუსტი და გიმნაზიის ქუჩას დაერქვას პუშკინის ქუჩა, და არა ნემენცებისა სთ. პირველი ნახევარი წინადადება საბჭომ მიიღო, ხოლო მეორე უარჰყო.

—

შემდეგ საბჭომ მოისმინა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის წინადადება იმის შესახებ, რომ ქალაქის მმართველობამ მიიღოს ზომები, რომ უპატრონოდ მაწანწალა ძაღლები როგორმე მოაშოროს ქალაქს. საბჭომ გადაწყვიტა: დაევალოს ძაღლების პატრონთ, უეჭველად საყელო გაუკეთოს თავიანთ ძაღლებს და საყელოზე ნიშანი დაჰკიდოს, რომელსაც ქალაქის გამგეობა დაურიგებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძაღლს დაიჭერენ და, თუ სამი დღის განმავლობაში არ მოიკითხა, მოჰკლავენ და ორი არშინის სიღრმეზე დაფლავენ მიწაში სალორიას მახლობლად. ხმ. კ. ლორთქიფანიძემ ჰკითხა ქალაქის მოურავს, ვინ უნდა იყვეს ამის მეთვალყურეო? ქალაქის მოურავმა უპასუხა, რომ ამ საქმისათვის გვყავს ჩვენ განსაკუთრებული კაცებიო. მე დარწმუნებული ვარო, სთქვა ბ-ნმა კ. ლორთქიფანიძემ, რომ მოკლულ ძაღლებს ორ არშინზე კი არა, არც ორი ვერშოკის სიღრმეზედ დაფლავენ და ამის გამო ისეთი საშინელი სუნი დატრიალდება ქუთაისის არე-მარეში, რომ ჰაერი სულ მთლად მოიშხამება და რაიმე საშინელი სენი გაჩნდებაო; ამიტომ უმჯობესია, ცოცხალი ძაღლები დარბოდნენ ქუჩებში, ვიდრე მათი ლეში გვაწუხებდესო, მაგრამ ქალაქის მოურავმა დაარწმუნა იგი, რომ არაფერი ამ გვარი არა მოხდებაო.

ბოლოს გამგეობის წევრმა ბ-ნ ჩიმაკაძემ მოახსენა საბჭოს, რომ ფქვილის ფასმა კიდევ დაიწიაო, მაგრამ ჯერ ხანობით ისევ ძველი ნიხრი დარჩეს გამომცხვარ პურზედაო, ე. ი. გირვანქა პირველ ხარისხისაზე— $4^1/_2$ კაპ., მეორისაზე—4 კაპ. და მესამისაზე—$3^1/_2$ კაპ.

## ᲮᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲓᲒᲐᲜ.

უცნაური სეტყვა

მეტად წვიმიანი გაზაფხული გამოდგა კახეთისათვის ეს გაზაფხული. 23 აპრილიდამ ხომ ნიაღვრობა დაიწყო და ხან ერთი ხევი ადიდდება, ხან მეორე. 9 მაისს თურდო ისე ადიდდა წვიმისაგან, რომ ამ 10—15 წელიწადს ამდენის წყლის მნახველი არავინ არის. თურდოსას მოგახსენეთ, რადგან ამ ხევზედ გადადის გზა ტფილისისაკენ კახეთიდგან და მისი დაზიანება ცეცხლივით საგრძნობელია.

11 მაისს თურდოს ხეობის გაღმაგამოღმა ცივ-გომბორის წვეროებზედ შეიკრიბა ღრუბელი, რომელიც რაღაცა საშინელებას წარმოადგენდა. ასე იყო დილის ცხრა საათიდამ დაწყებული. ჰაერი დამშვიდებული იყო: არც ერთი ფოთოლი არ ინძროდა. ვინც თვალს ადევნებდა მას, ყველა უნებურად რაღაცა შიშს ჰგრძნობდა. 12 საათის 20 წამზედ, მცირე ქუხილის შემდეგ, ციცადამ ხმაურობა მოისმა, როგორიც სეტყვის დროს არის ხოლმე. 25 წამზედ თელავზედ ჩამოჰყარა თხლად მშრალი, ქათმის კვერცხისოდენა, სეტყვა; ერთ წამზედ სეტყვა გახშირდა. 16 წამი განუწყვეტლივ მოდიოდა სეტყვა. უცნაური სეტყვა იყო იგი: 1) თვით სეტყვა იყო ტყვიასავით მძიმე, 2) მოდიოდა ერთსა და იმავე ეზოში სხვა-და-სხვა ადგილას სხვა და სხვა სიხშირით; 3) მშრალ ფილაქვნებზე დაცემული სეტყვა ერთს ადგილას 1—2 არშინამდე მაღლა ხტებოდა, მეორე მახლობელს ადგილას 9—12 ვერშოკსაც ვერ აცილდა; 4) მთელი დრო, როცა სეტყვა მოდიოდა, სიმშვიდე ჰაერისა არ დარღვეულა, რაც თავის დღეში არ გვინახავს; 5) სეტყვის გადაღების შემდეგ სამი საათი გავიდა, ნამი არ ჩამოვარდნილა.

სეტყვამ, როგორც მოგახსენეთ, თურდოს ხეობაში წვეროებზედ იჩინა თავი და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ წამოვიდა. მარცხნა კალთა სეტყვისა გადასწვდა არტოზანსა და რუისპირს, თავ. მაყაშვილების ზევითა ზვრებსა, მარჯვენა კალთამ გადმოიარა ვარდისუბანი, დაჰყარა თელავს, დასეტყვა სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე კურდღელაურის ვენახებისა, აქავე ორივ კალთა უფრო შევიწროებული გაემართა, აღმოსავლეთისაკენ. შალაურას ბოლოზედ ვენახებს სუსტად დაჰკრა, ნასომხარსაც ცოტად მოჰხვდა, მაგრამ კისისხევის ბოლოზედ ადგილ-ადგილ ძალიან ჩარეცხა, სხვათა შორის, ფერმა, კონდოლი, წინანდალი, ხოდაშენი, ვაჩნაძიანი, შაშიანი, ურიათუბანი მცირე ხნით ინახულა. მუკუზანს და ველისციხეს დაადგა და ფოთოლი აღარ შეარჩინა. რასაკვირველია, ამისთანა უცნაური სეტყვა ერთსა და იმავე სოფელში სხვა და სხვა ზომის ზარალის კვალს დასტოვებდა, რადგანაც 15—20 საჟენზედ სხვა და სხვა სიხშირით და ძალით მოდიოდა. თელავში ერთსა და იმავე ქუჩაზედ, ერთსა და იმავე რიგის სახლებს ზოგს შუშები სრულიად ჩაუმტვრია, ზოგს ორი სამი მინაც ვერ გაუტეხა და ზოგს სულ არც ერთი. საზოგადოდ ზარალი დიდია. თუნდა მარტო მუკუზანი და ველისციხე ავიღოთ, მაინც დიდი ზარალია. წელს ისეთი ჰრილი, დაუდეგარი ამინდია, რომ ძნელად თუ ვინმე გადურჩება სეტყვას. მართალია, შარშანდელი მოსავალიც ზემო კახეთში ისევ გასაყიდია, მაგრამ, ვგონებ, სეტყვამ ძალიან დაგვიძვიროს ღვინო. ახლა სირაჯები კანტი-კუნტად დადიან და როცა გაიგებენ: ღვინო კვლავ ცოტა იქნებაო, უეჭველად გამრავლდებიან და იძულებულნი იქმნებიან ფასს მოუმატონ. ახლანდელი ფასი 50—70 აბ. სწორედ ის ფასია, რასაც სრულიად დაწუნებულ ღვინოში იძლეოდნენ ხოლმე წინად.

ნადიკრელი

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

**ჰოლანდია.** გააგის სამშვიდობო კონფერენციის წევრთა პირველად შეკრების შესახებ შემდეგ ცნობებს იუწყებიან გაზეთები:

გარეშე მაყურებელი არავინ არ დასწრებია თურმე კრების გახსნას 18 ჟურნალისტისა და ბარონესსა სუტნერის გარდა. კრებას დარბაზში ყველაზედ ადრე მისულან ჩინეთის დელეგატები, რომელთაც ეროვნული ტანთსაცმელი ეცვათ ყვითელის ფერისა. იმათ შემდეგ მისულან გრაფი მიურავიოვი და სტაალი. ყველა დელეგატებს, და მათ შორის სამხედროთაც, შავი ტანთ საცმელი ეცვათ და არა მუნდირები. თავმჯდომარეს ზარის მაგიერ პატარა ჩაქუჩი სდებია სტოლზე. მინისტრს დებოფორს და სტაალს თავიანთი სიტყვები, რომელთა შინაარსი დეპეშამ გადმოგვცა, ხელნაწერებად ჰქონიათ და ისე წაუკითხავთ. დელეგატებისათვის საჯდომი ადგილები წინდაწინვე დამზადებული ყოფილა ფრანგულ ალფავიტურ რიგზედ; ასე რომ თავმჯდომარის მარჯვნივ პირველი ადგილი სჭერიათ გერმანიის დელეგატებს, გრაფ მიუნსტერს და პროფესორ ცორნს, და საფრანგეთის დელეგატებს ადგილი ყოფილა ჩინელების გასწვრივ. ბოლგარიის დელეგატებისათვის განცალკევებით ორი ადგილი ყოფილა დამზადებული, როგორც ნახევრად დამოკიდებულ სახელმწიფოს წარმომადგენელთათვის. გერმანიის ერთი დელეგატი, პროფესორი შტენგელი, იქცევდა თურმე ყველას ყურადღებას, რადგან მან ამას წინად წიგნაკი დაჰბეჭდა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ შეუძლებელია მხედრობის რიცხვი შემცირდესო და ამიტომ გააგის კონფერენცია ვერაფერს გახდებაო, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, გერმანიის მთავრობამ მაინც გაჰგზავნა იგი თავისს დელეგატად გააგაში. გერმანიის მთავრობის ასეთი საქციელი გერმანიისავე გაზეთებს უხერხულად მიუჩნევიათ, თუმცა იმასაც ამტკიცებენ, რომ შტენგელს შესამლებლად არ მიაჩნია მხედრობის შემცირება, თორემ, რომ მოხერხდებოდეს ეს საქმე, მასაც ძალიან ესიამოვნება და, მაშასადამე, გააგის კონფერენციას მხურვ თანაუგრძნობსო.

## ᲓᲐᲛᲐᲙᲕᲘᲠᲓᲐ

მიუნდო ხარ, საწუთროო, მით, რომე იხდართვი მრავალ გვარად.

რუსთაველი

* * *

ვინცა წამისა სიცოცხლესა კეთილად მოიხმარს და შექმნის დიდისა გოდოლსა კეთილისასა, მით იგი საუკუნო ხსენებასა დაიმსახურებს.

ლასურიძე

* * *

არა იხარონ ნებსით, შემდგომად უნებლიედ მოინანონ.

სულხან საბა

## ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ერთი ფრანგული გაზეთი იუწყება, საფრანგეთს გაცილებით უფრო იაფად უჯდება თავისს პრეზიდენტის შენახვა, ვიდრე სხვა რომელსამე სახელმწიფოს თავისს ხელმწიფის ან პრეზიდენტისა. მაშინ, როდესაც სხვებს მილიონობით ეძლევათ ჯამაგირი, საფრანგეთის პრეზიდენტს სულ რამდენიმე ათასი მანეთი აქვს დანიშნული ხაზინიდგან. ჯამაგირს გარდა პრეზიდენტს უსასყიდლოდ ეძლევა ბინა თავის განათებითა და გათბობით და შემდეგი ნივთები: თითო დუჟინი კოვზი, დანა და ჩანგალი, სტოლის მოწყობილება 120 კაცისათვის, სტოლის გადასაფარებელი, ამდენივე სალფეტკი, ერთი დუჟინი ზეწარი, ამდენივე პირსახოცი და სამი ეტლი თავისის ცხენებით. მოსამსახურეებიც, რომელთაც ხაზინა აძლევს ჯამაგირს, პრეზიდენტს ცოტა ჰყავს: 8 ლაქია, 5 მხვარეული, 4 წერილების დამტარებელი და მეეტლე.

* * *

როგორც ერთი ინგლისური გაზეთი იუწყება, ცილინდრი პირველად გამოუგონია ვილაც გეტერინგტონს 1797 წელს. დღეს ცილინდრი აღარავის აღარ აკვირვებს, მაგრამ პირველად როდესაც ცილინდრი გამომგონის თავზედ დაუნახავთ, ლონდონის მცხოვრებნი დიდად განცვიფრებულან. ქუჩაში იმდენა ხალხი შექუჩებულა ამ ცილინდრის საცქერად, რომ გავლა აღარ შეიძლებოდა თურმე. აი რასა სწერდა ამის შესახებ მაშინ გაზეთი «Times»-ი: „ამას წინად პოლიციამ შეიპყრო და ლორდ-მერთან მიიყვანა ვილაც გეტერინგტონი, რომელიც ქუჩაში უწესოებას და არეულობას ახდენდა. ლორდ-მერმა ეს ვაჟბატონი სამართალში მისცა წესიერების დარღვევისათვის. სასამართლომ მრავალი მოწმე დაიბარა. შლიაპა, რომლითაც გეტერინგენი უწესოებას ახდენდა, მოსამართლეების წინ სტოლზედ იდვა. ეს შლიაპა მეტად უცნაური რამ არის. იგი წოწოლტინაა და მილსა ჰგავს. შავი ხავერდი აქვს გადაკრული, ისეთი საშინელი სანახავია, რომ კაცს შეაშინებს. პოლიციელთ განაცხადეს სასამართლოში, რომ ქუჩაში რამდენსამე დედა-კაცს გული წაუვიდა ამ შლიაპის დანახვის დროს; ბავშვებმა საშინელი ტირილი მორთეს, ხოლო ძაღლებმა ყეფა გააბესო“. ბევრის რჩევისა და თათბირის შემდეგ სასამართლოს დამნაშავედ უცვნია გეტერინგტონი და 4000 მარკის ჯარიმის გარდახდა მიუსაჯნია. ასე დასაჯა სასამართლომ იმ ცილინდრის გამომგონი, რომელიც დღეს ყველგან ხმარებაშია.

# ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 მაისი

**ყაზანი.** მდინარე კაზანკაზედ დიდის ქარის დროს გადაბრუნდა ნავი, რომელშიაც 20 მუშა-თათარი იჯდა. 8 კაცი დაიხრჩო.

**ხარკოვი.** ქალაქის საბჭომ გადასდო 127,000 მანეთი იმ სკოლების შენობისათვის, რომელიც პუშკინის სახელობაზედ უნდა დაარსდეს.

**ჰელსინგფორსი.** მუშა მალმელინი, მკვლელი 7 კაცისა, შეპყრობილ იქმნა. მკვლელობის მიზეზი ის არის, რომ ის, ვისთანაც მალმელინი მუშაობდა, ამ უკანასკნელს ცუდად ექცეოდა.

**გააგა.** დედოფალი ვილჰელმინა და დედა დედოფლისა აქ მოვიდნენ.

**გააგა.** იმპერატორმა ნიკოლოოზმა უბოძა დედოფალს ვილჰელმინას ორდენი წმ. ეკატერინესი. დედოფალმა მიიღო ელჩი სტაალი, რომელმაც გადასცა ორდენი. ხვალ დედოფალი გაემგზავრება მიდის.

**პარიჟი.** პალატამ უკამათოთ შეიწყნარა წინადადება იმის შესახებ, რომ მარშანის ექსპედიციის ყველა წევრს მიეცეს საახალშენო მედალი. ამ გადაწყვეტილებას პალატა ტაშის ცემით მიეგება.

14 მაისი.

**პეტერბურგი.** 14 მაისს, გვირგვინის კურთხევის დღეს, გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი ისაკიევის ტაძარში. დაესწრნენ დიდნი მთავარნი და წარჩინებულნი კაცნი. პარაკლისები გარდახდილ იქმნა სხვა ეკკლესიებშიაც. დღისით ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული, ღამე გაჩირაღდნებული.

**მადრიდი.** კასტელარი გარდაიცვალა.

**მოსკოვი.** ყველა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი მათის უდიდებულესობის დღეგრძელობისათვის.

**ყაზანი.** პარაკლისი მათის უდიდებულესობის დღეგრძელობისათვის გარდახდილ იქმნა ყველა ეკკლესიებში.

**მადრიდი.** კასტელარს სახელმწიფო ხარჯით დაასაფლავებენ.

**პარიჟი.** გალლიენი პარიჟში მოვიდა.

15 მაისი

**ხაბაროვსკი.** ჩიფუდგან იუწყებიან, რომ ალმასის მადნები იჩეუს ოლქში, შან-დუნის პროვინციაში, რომელნიც ჩინელებს ეკუთვნოდა, გერმანიის ერთმა სავაჭრო ფირმამ შეიძინაო. ეს მადნები იმით არის შესანიშნავი, რომ მთელ ჩინეთის სამყოფ ალმასს იძლეოდა.

**მადრიდი.** პოლავიეხამ დეპეშა მიიღო, რომელიც იუწყება, რომ ესპანელებმა ზამბოაგუ დასცალესო. ფილიპინელები თხოულობდნენ, რომ ციხე ჩაჰბარებოდათ მათ იარაღით და სურსათით; ესპანელებმა უარი განაცხადეს. ბრძოლა ასტყდა. ამერიკელებს ჯერ არ დაუჭერიათ მინდანაო.

**პარიჟი.** სენატმა შეიწყნარა ბიუჯეტი, მაგრამ რამდენიმე ადგილი შესცვალა, რის გამოც ბიუჯეტი ისევ პალატას უნდა დაუბრუნდეს.

**ტულონი.** ზღვის პიროტეხნიკურ ლაბორატორიაში, ლაგუბრანის თოფის წამლის ქარხნის მახლობლად, ყუმბარა აფეთქდა. ერთი კაცი მოკლულ იქმნა, ათი დაჭრილია.

**პარიჟი.** დღეს გილლენმა მიიღო გენერალი გალიენი.

## „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ

**ქ. ბ—მი. ქ. ნ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ფ—თი. უსწავლელს.** ეგ ამბავი უკვე იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი.

**ს. ქ—თი. მ. ი—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**გ. წ—ს.** არ დაიბეჭდება.

Chav-dié--ს. ვერ დავბეჭდავთ.

**გიგო—ი—ს.** არ დაიბეჭდება.

**„დამსწრე ანტონს“.** ეგ ამბავი გვქონდა დაბეჭდილი.


## Გ Ა Ნ Ც Ხ Ა Დ Ე Ბ Ა Ნ Ი

**ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲐᲣᲬᲧᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ**, რომ ამა წლის 24 მაისს იმის თანადასწრებით მოხდება საბოლაოდ საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით უნდა გაიცეს ახლად შეკეთებული ქალაქის **ᲝᲠᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐ** (შიოევისეული) აბანოებთან. ქარვასლის ძირითა სართული შეიცავს 4 დუქანსა და 4 ოთახს, ზემოთა სართული 12 ოთახს სამზარეულოებით. ამას გარდა სახლს ორი სარდაფი აქვს.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ ყოველ დღე, კვირა უქმის გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (3—6.—1)

# Ქ. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ

ბარიატინსკის ქუჩაზედ

ისყიდება კარგი ქვითკირის **ᲡᲐᲮᲚᲘ** 1700 საჟ. ეზოთი, სადაც ჩინებული წყაროა. ბანკის ვალი 2500 მ. ხელად მისაცემი 6000 მ., წლის შემოსავალი სამხედრო მმართველობისაგან 1000 მ. იკითხეთ: ცნობის შესატყობ დიდებულიძის კანტორაში, ბარიატინსკის ქუჩა № $^2/_2$. (3—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 15-го Мая 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე